საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№345 2017 წლის 30 ნოემბერი ქ. თბილისი

მ. ბახტაძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მომხსენებლებად დანიშვნის თაობაზე და „დ. ქუმსიშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მომხსენებლებად დანიშვნის თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 29 სექტემბრის N258 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021

წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დ. ქუმსიშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მომხსენებლებად დანიშვნის თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 29 სექტემბრის N258 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი